უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი

უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდა სპეციალობაში გულისხმობს განათლების საკითხებზე სხვადასხვა სახის დავალების შესრულებას. დადებით შეფასებად ჩაითვლება 51 ქულიანი ბარიერის გადალახვა.

საგამოცდო ბილეთი მოიცავს შემდეგ დავალებებს:

- ესეი „უმაღლესი განათლების გამოწვევი 21-ე საუკუნეში“ -10 ქულა;
- სამოტივაციო და სარეკომენდაციო წერილის, განცხადების, ახსნა-განმარტებითი ბარათის შედგენა - სულ 40 ქულა;
- პედაგოგიური სიტუაციის ანალიზი- 30 ქულა (6 სიტუაცია, თითოეული შეფასდება 5 ქულით);
- ტესტი (მოიცავს 10 საკითხს აკადემიური წერიდან, 10 საკითხს ზოგადი ფსიქოლოგიიდან) - 20 ქულა (თითოეული შეფასდება 1 ქულით).

თეორიული საკითხის შეფასების კრიტერიუმები:

-საკითხის ლოგიკური თანმიმდევრობით წარმოდგენა - 0-5 ქულა;
-ლოგიკური დასკვნების და არგუმენტების გამოტანა-0-2 ქულა
-წერის კულტურა (ორთოგრაფია, პუნქტუაცია, ლექსიკური მარაგი) -0-3 ქულა

ესეის შეფასების კრიტერიუმები:

-ესეის ძირითადი იდეის ჩამოყალიბება- 0-2 ქულა
-საკითხის ზოგადი ცოდნა, ორიგინალური ხედვა და თანმიმდევრული მსჯელობა- 0-3 ქულა;
-ლოგიკური დაეკვნების გამოტანა-0-1 ქულა;
-საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული და ფაქტობრივი გამყარება-0-2 ქულა;
-წერის კულტურა (ორთოგრაფია, პუნქტუაცია, ლექსიკური მარაგი)-0-2 ქულა

პედაგოგიური სიტუაციის შეფასების კრიტერიუმები:

1. პედაგოგიური პრობლემა ნათლად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული. პრობლემის გადაჭრის გზები ეფექტურია - 5 ქულა;
2. პედაგოგიური პრობლემა ნათლად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული. პრობლემის გადაჭრის გზები დამაკმაყოფილებელია - 4 ქულა;
3. პედაგოგიური პრობლემა ნათლადაა ჩამოყალიბებული. პრობლემის გადაჭრის გზები არასწორადაა შერჩეული - 3 ქულა;
4. პედაგოგიური პრობლემა განსაზღვრულია, პრობლემის გადაჭრის გზები ბუნდოვანია – 2 ქულა;
5. პრობლემა და მისი გადაჭრის გზები ბუნდოვანია-1 ქულა;
6. პედაგოგიური პრობლემა და მისი გადაჭრის გზები არ არის ჩამოყალიბებული – 0 ქულა;

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“, 2005 წ;
2. საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ“, 2005 წ;
3. კიკვაძე მ., ცეცხლაძე ნ., ფარტენაძე ნ., ახვლედიანი დ., ხახუტაიშვილი მ., აკადემიური წერა, გამომცემლობა ,,ივერიონი“, თბილისი, 2013წ;
4. ნათაძე რ., ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, თბილისი, 1989 წ;
5. ნიჟარაძე ნ., მაკლეინი ქ., ბოლი ტ. სასწავლო და პროფესიული გარემო, თბილისი, 2008 წ;
6. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1998 წ;
7. პედაგოგიკის საკითხები. მასწავლებლის წიგნი. თბილისი, 2013 წ.

სასარგებლო ვებგვერდები:

www.mes.gov.ge

www.tpdc.gov.ge

კონსულტაციების ჩატარების განრიგი და ადგილი

კონსულტაციები ჩატარდება 2017 წლის 1, 4 სექტემბერს 12-დან -15 საათამდე ბსუ-ს პირველი (ადმინისტრაციული) კორპუსის მე-3 სართულზე, N54 ოთახში.

გისურვებთ წარმატებებს!

განათლების ფაკულტეტი